№ 136 ივნისი 29, შაბათი 1891 ივნისი 29, შაბათი № 136

გაზეთი ღირს

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

ივერია

გაზეთის დასაგვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, აგშელის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულის სახლეში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების განცყლიარიას, სათავად-აზნაურთა ბანკის სახლეში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 საპოლიტიკო და საალიტერატურო გაზეთი 1877—1891

ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ. ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲐ ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, 2 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ.

სასწავლებელი და პანსიონი
სპ. ბ. ᲯᲝᲠᲯᲘᲙᲘᲫᲘᲡᲘ.
(ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ)

პირველ სექტემბრიდგან პანსიონერებს მიიღებს წლიურად 180 მანეთად. გარეშედგან მოსიარულეთაგან აიღებს თთვეში სამ-სამს მანეთს მოსამზადებელს და პირველს კლასში მომზადებისათვის. ყმაწვილებს ამზადებს გიმნაზიისა, პროგიმნაზიისა, რეალურ, სამოქალაქო და სხვა სასწავლებლის ᲧᲕᲔᲚᲐ ᲙᲚᲐᲡᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ზაფხულშიაც ქუთაისში რჩება. (13—4)

ტფილისი, 28 ივნისი

ჩვენს ორს წერილში*) დაწვრილებით ავნუსხეთ იმის ისტორია, თუ რა გზით იარა პირველ დაწყებით სასწავლებლების საქმემ საერთოდ რუსეთში და კერძოდ დასავლეთს ევროპაში. აღვნიშნეთ ის გარემოებაც, რომ ძლევა-მოსილობის დროს ახლა საეკლესიო-სამრევლო სასწავლებლებს დაუდგა და ამიერიდგან ძალიან აიდგამს ფეხს და ზურგს გაიმაგრებსო. ამისი აუკარა მაგალითი ეხლაც ბევრია, არამც თუ მხოლოდ რუსეთში, რომლის შესახებ უკვე ნათქვამიც გვქონდა, არამედ საქართველოშიაც. ეს უკანასკნელი გარემოება რომ არა ეოფილიყო, რასაკვირველია, არც ასეთს დიდს ყურადღებას მივაქცევდით ზემოხსენებულს განკარგულებას მთავრობისას, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ რუსეთი დიდი ხომალდია და საქართველო კიდევ—პაწია ნავი, რომელიც იმ ხომალდსა აქვს გამობმული და რომლის ავი და კარგი, სიკეთე და სიბოროტე, მშვიდობიანობა და კეთილდღეობა იმ ხომალდის სვლასა და სიარულზეა დამოკიდებული.

ჩვენ წინა წერილებში სამწუხაროდ აღვნიშნეთ ის გარემობა, რომ საეკლესიო-სამრევლო სასწავლებლებსა ჭმართავენ იქაც-კი, სადაც სამინისტროს სასწავლებელია, და ეს კიდევ რა, ამ უკანასკნელს აუქმებენ კიდეც და იმის მაგიერ საეკლესიო-სამრევლო სასწავლებელს აარსებენ. რასაკვირველია, სწავლა ნათელია და საიდგანაც და რა სახითაც უნდა გვეფიქრებოდეს ეს ნათელი, სასიამოვნო მისაგებებელია. ამას გარდა, საეკლესიო სასწავლებლის მთავრობის მიერ შეწყნარება იმ მხრითაც არის სასიამოვნო, რომ ასეთის სასწავლებლის დაარსება ყოველს დარიბს სოფელში შეიძლება, ხარჯი დიდი არა სჭირდება. დიად, მით უკეთესია, რაც უფრო გამრავლდება საერო და სახალხო სასწავლებელი, რა სახისა და სახელისაც უნდა იყოს, მაგრამ ერთის, და მერე ისიც უკეთესის, გაუქმება და, ამის სამაგიეროდ, მეორის, უფრო უმდარესის, დაარსება ვერაფრად სასიამოვნოა და სასურველი.

ჩვენს გაზეთში უკვე გვქონდა დაბეჭდილი „წერა-კითხვის სასწავლებლის წესები“**), რომელშიაც, სხვათა შორის, პროგრამაც არის ამ სასწავლებლებისა აღნიშნული. აი ეს პროგრამა: „სამდვთო წერილი (ძველისა და ახალის აღთქმის მოკლე სამღვთო ისტორია და მცირე კათეხიზმო), საეკლესიო გალობა ᲣᲜᲝᲢᲝᲜᲐ, საეკლესიო-სლავიანურისა და რუსულის კითხვა, წერა და პირველდაწყებითი თვლა“ (წეს. § 14). შეუფარდეთ ეს პროგრამა სამინისტროს სასწავლებლების პროგრამას და დარწმუნდებით, რომ, როგორც რუსეთის ერთი ეურნალი ამბობს, ეს წერა-კითხვის სასწავლებელი ისე ჭგავს ყველა სხვა სასწავლებელს, როგორც პურის თავთავის ჩენჩო, რომელსაც დიდად მშიერი კაცი თუ წაატანს ხელს, ნამდვილს პურს. პროგრამით ამ ახალს პირველ-დაწყებითს სასწავლებელს უფრო ეკლესიური ხასიათი ეძლევა, დამატებულია მცირე კათეხიზმო, საეკლესიო გალობა და საეკლესიო-სლავიანურის კითხვა, ის საგანი, რომელსაც სიძნელისა გამო გიმნაზიებშიაც-კი მე-3—4 კლასებში აწყობენენ მოსწავლეებს. პროგრამის ასეთი გაფართოება, თქმა არ უნდა, დედაენას დაუწევს ტვირთად, შეამცირებს, შეამოკლებს და სამაგიეროსაც ვერაფერს მისცემს, რადგან ძნელად თუ ცხრა-ათის წლის ბავშვმა სლავიანურისა და კათეხიზმისი გაიგოს რამე.

ამას შემდეგ, რასაკვირველია, არაფრად სასიამოვნოა ერთის სხვა გვარ სასწავლებლის გაუქმება და საეკლესიო-სამრევლოს დაარსება, მით უფრო, როცა პირველ-დაწყებით სწავლის გავრცელების საქმე ჯერ ისე უსრული და ნაკლული, რომ ერთის სასწავლებლის მაგიერ მეორის დაარსება, ნაბიჯის წინ წადგმა-კი არა, ტუუილ-უბრალო ამალა-დაშლაა საქმისა. ეს საეკლესიო-სამრევლო სასწავლებლები-კი რომ ვრცელდება, და ვრცელდება ეოველ სხვა გვარ სასწავლებლის საზიანოდ და საგნებელად, ამას ჭმიწმობს სხვათა შორის ჩვენს გაზეთშივე შარმან დაბეჭდილი წერილი მეთვალყურესი კახეთიდგან მისის ყოვლად უსამღვდელოესობის ალავერდის ეპისკოპოსის ბესარიონის კახეთში მოგზაურობის შესახებ***). ბ-ნი კორესპონდენტი სწერს ერთს ალაგას, რომ „თითქმის კახეთის ყველა ეკლესიის მრევლმა შეადგინა განაწერნი... სამრევლო სკოლის დაარსებისა, იქაც-კი, სადაც სადირექციო სასოფელო სკოლა არსებობსო“.

აბარა აზრი აქვს ორს სასწავლებელს ერთს დარიბს სოფელში, როდესაც ერთს სასწავლებელსაც ვერ უძღვებიან და იმაშიაც გულმოდგინედ ვერა ჭგზავნიან ყმაწვილებს სასწავლებლად? რა, იმის მეტი, რომ სამინისტროს სასწავლებლის გაუქმება ჭსურთა და იმის მაგიერ უნდათ დაუაარსონ საეკლესიო - სამრევლო სასწავლებელი, რადგან ამ სასწავლებლისათვის არც ხარჯი სჭირდებათ და არც ბოროჯი? დიად, სწორედ ამ აზრით ჭხელმძღვანელობენ, სასწავლებლის ავ-კარგიანობის დანახვა გულხაკეობასს არ შეუძლიან, რიგიანი ჩამგონებელი და დამრიგებელი არავინა ჭეავთ და ხარჯის სიდიდისა და სიმცირის კვალობაზედ ვარაუდობენ, რომელი სასწავლებელი უფრო სჯობიაო. ყველას მოეხსენება, რა უხალისოდ დაუხვდებიან ხოლმე ყოველთვის ჩვენი სოფლები იმ ამბავს, რომ სასწავლებელი დავაარსოთო. მაშინვე ჩივილს მოჭყვებიან ხოლმე, რომ ათასი გარდასახადი და ბეგარა გვაწევს კისრად და ახლა რადა სასწავლებლის ხარჯი გეგზირიაო. ასე სრადან ყოველთვის და ეხლა-კი ამ საეკლესიო-სამრევლო სასწავლებლის დაარსების განაჩენს სიამოვნებით არდგენენ, ეშვი არ არის, სწორედ იმ მიზეზით, რომელიც ზემოდ დავასახელეთ. ამ მიზეზითვე გადასწყვეტეს რუსეთში სოლვიჩეგოდსკისა და იარენსკის ერობებმა, რომ ჩვენი სასსწავლებლები საეკლესიო-სამრევლოდ გადავაქციოთო, და ესევე მიზეზი ჭმოქმედობს ჩვენშიაც. ამას, სხვათა შორის, ზემოდ დასახელებული კახეთის წერილიც ამტკიცებს. კორესპონდენტი ამბობს, რომ, როცა ეპისკოპოსმა ბესარიონმა სოფ. კისისხევის გლეხ-კაცობას აუხსნა მნიშვნელობა სწავლისა, სთხოვა, საეკლესიო-სამრევლო სასწავლებელი დაიარსეთ, „ოსტატი ᲩᲔ მასწავლებელიც აგერ მზად არის, დღეიდგან ვუბრძანებ თქვენს მეგვდელს, მუქთად და ბეჯითად ასწავლოს თქვენს შვილებს წერა-კითხვა“, საზოგადოება აღტაცებაში მოვიდა თურმე და აი რა უპასუხეს:

— თანხმა ვახლავართ, თანხმა, გაისმა ხალხში, მაგრამ, სთქვა ერთმა გლეხმა ყოფანით: ჩვენი ვეჭქეს, თქვენი ჭირიმე, სასოფლო სკოლა; თუ თქვენის შემწეობით იმას გადავაკეთებთ სამრევლო სკოლად და იქ ასწავლის ჩვენი მეგვდელი მუქთად, მაგას რაღა აჯობებს, რომ მასწავლებლის ხარჯი მაინც მოიშორეს სოფელმა თავიდგან...

აი, სწორედ ეს „ხარჯის თავიდგან მოშორებაა“ მიზეზი, რომ ასე გულ-მოდგინედ სცდილობენ სოფლები საეკლესიო-სამრევლო სასწავლებლების დაარსებას. დარწმუნებულნი ვართ, თუ არ ეს გარემოება, თვით ისინივე არრევდნენ

*) იხ. „ივერია“ №№ 120 და 127.

**) იხ. „ივერია“ №№ 121 და 125.

***) იხ. „ივერია“ 1890 წ. №№ 159 და 160.

ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲚᲘᲡ ᲬᲧᲐᲚᲘ

დღეს ტფილელების საკერ-ბოროტო საგანი მილის წყალია და ჩვენც იმისს თაობაზე გვწადიან ბაასი მკითხველთან.

ჯერაც განცვიფრებულია ჩვენში დიდი და პატარა იმით, რომ ქალაქმა მილის წყალი გამოიყვანა.—რომელი საჭიროება მოითხოვდა მილის წყლის გამოყვანას, როდესაც ასეთი მოზრდილი მდინარე, როგორიც მტკვარია, ზედ შუაზე ჩამოუდის ქალაქს და როდესაც ამ მდინარის წყალი კი და მარგებელი სასმელი წყალიაო?—შეჰკითხავენ ერთმანეთს არა მარტო ტფილისელნი, არამედ სხვანიც. ერთის შეხედვით მართლაც ისე გამოდის, თითქო ერთს დღეს რაღაც უცნაურს გუნებაზე მოსულა ქალაქის თვით-მართველობა, დაუნახავს, რომ ქისაში ბლომადა ჭქონია ფული, არა სცოდნია მისი მოხმარება და გაუჩენია თავისთვის საქმე ისე, როგორც უსაქმურმა კაცმა იცის, ამდგარა და ავჭალის მინდვრებში ჩაუყრია ეს ფული და მის მაგიერ წამოუღია რაღაც ერთი მუჭა წყალი.

მაგრამ ნამდვილად-კი საქმე სრულიად სხვა გვარად იყო. მილის წყალის გაყვანა აუცილებელს საჭიროებას შეადგენდა ტფილისისთვის. მართალია, ქალაქს ჩამოუდის მტკვარი, მართალია, არაეთარი შიში არ უნდა გვქონდეს, რომ ეს მდინარე დაგვიშრეს როდისმე, მართალია, მისი წყალი არ არის მაგდენად ცუდი სასმელი, მაგრამ მოიგონეთ, რა დღეში იყო ტფილელი, ვიდრე მილის წყალს გამოიყვანდნენ. ჯერ პირველი ისა, რომ მტკვარი წელიწადში ერთიერთმანეთზე მხოლოდ ორი-სამი თთვეა სუფთა, დანარჩენი ცხრა-ათი თთვე ისეთი მოდის, ხან ყვითელი და ხან შავი, თითქო საგულისგულოდ უთქვეფიათ შიგ სხვა-და-სხვა ფერის ტალახიო. რადგან ყველა სხვა ღონისძიება წყალის დაწმენდისა უფრო ძვირი იყო, ამიტომ ჩვენგან დიდს პატივში ბრძანდებოდა და ძალიან გასაოცარიცა ჭქონდა შაბს, რომელსაც დღეს ზედაც არ ვუყურებთ. უწყლობის გამო ჩვენნ ვსვამდით შაბ-წყალს. უფრო ამ გარემოებამ მოაფიქრებინა თვით ყორღანოვსაც მილის წყალის გაყვანა. გამართა პატარა მაშინა, აწმინდავებდა მტკვრის წყალსა და მილებით უგზავნიდა მუშტარს. მაგრამ ამ მაშინის ნაკლულევანება ის იყო, რომ მთელს ტფილისს ვერ მიაწვდიდა წყალს, რადგან პატარა იყო. ქალაქის თვით-მართველობამ იკისრა მთელის ტფილისის გაძღოლა და დაკმაყოფილება ამ მხრივ.

მეორე საბუთი და ძალიან შესანიშნავი, რომ ერთის სასწავლებლის გაუქმება და ახალი სასწავლებლის დაარსება, ნაბიჯის წინ წადგმა-კი არა, ტუუილ-უბრალო ამალა-დაშლაა საქმისა. ეს საეკლესიო-სამრევლო სასწავლებლები-კი რომ ვრცელდება, და ვრცელდება ეოველ სხვა გვარ სასწავლებლის საზიანოდ და საგნებელად, ამას ჭმიწმობს სხვათა შორის ჩვენს გაზეთშივე შარმან დაბეჭდილი წერილი მეთვალყურესი კახეთიდგან მისის ყოვლად უსამღვდელოესობის ალავერდის ეპისკოპოსის ბესარიონის კახეთში მოგზაურობის შესახებ***). ბ-ნი კორესპონდენტი სწერს ერთს ალაგას, რომ „თითქმის კახეთის ყველა ეკლესიის მრევლმა შეადგინა განაწერნი... სამრევლო სკოლის დაარსებისა, იქაც-კი, სადაც სადირექციო სასოფელო სკოლა არსებობსო“.

აბარა აზრი აქვს ორს სასწავლებელს ერთს დარიბს სოფელში, როდესაც ერთს სასწავლებელსაც ვერ უძღვებიან და იმაშიაც გულმოდგინედ ვერა ჭგზავნიან ყმაწვილებს სასსწავლებლად? რა, იმის მეტი, რომ სამინისტროს სასწავლებლის გაუქმება ჭსურთა და იმის მაგიერ უნდათ დაუაარსონ საეკლესიო - სამრევლო სასწავლებელი, რადგან ამ სასწავლებლისათვის არც ხარჯი სჭირდებათ და არც ბოროჯი? დიად, სწორედ ამ აზრით ჭხელმძღვანელობენ, სასწავლებლის ავ-კარგიანობის დანახვა გულხაკეობასს არ შეუძლიან, რიგიანი ჩამგონებელი და დამრიგებელი არავინა ჭეავთ და ხარჯის სიდიდისა და სიმცირის კვალობაზედ ვარაუდობენ, რომელი სასწავლებელი უფრო სჯობიაო. ყველას მოეხსენება, რა უხალისოდ დაუხვდებიან ხოლმე ყოველთვის ჩვენი სოფლები იმ ამბავს, რომ სასწავლებელი დავაარსოთო. მაშინვე ჩივილს მოჭყვებიან ხოლმე, რომ ათასი გარდასახადი და ბეგარა გვაწევს კისრად და ახლა რადა სასწავლებლის ხარჯი გეგზირიაო. ასე სრადან ყოველთვის და ეხლა-კი ამ საეკლესიო-სამრევლო სასსწავლებლის დაარსების განაჩენს სიამოვნებით არდგენენ, ეშვი არ არის, სწორედ იმ მიზეზით, რომელიც ზემოდ დავასახელეთ. ამ მიზეზითვე გადასწყვეტეს რუსეთში სოლვიჩეგოდსკისა და იარენსკის ერობებმა, რომ ჩვენი სასსწავლებლები საეკლესიო-სამრევლოდ გადავაქციოთო, და ესევე მიზეზი ჭმოქმედობს ჩვენშიაც. ამას, სხვათა შორის, ზემოდ დასახელებული კახეთის წერილიც ამტკიცებს. კორესპონდენტი ამბობს, რომ, როცა ეპისკოპოსმა ბესარიონმა სოფ. კისისხევის გლეხ-კაცობას აუხსნა მნიშვნელობა სწავლისა, სთხოვა, საეკლესიო-სამრევლო სასწავლებელი დაიარსეთ, „ოსტატი ᲩᲔ მასწავლებელიც აგერ მზად არის, დღეიდგან ვუბრძანებ თქვენს მეგვდელს, მუქთად და ბეჯითად ასწავლოს თქვენს შვილებს წერა-კითხვა“, საზოგადოება აღტაცებაში მოვიდა თურმე და აი რა უპასუხეს:

— თანხმა ვახლავართ, თანხმა, გაისმა ხალხში, მაგრამ, სთქვა ერთმა გლეხმა ყოფანით: ჩვენი ვეჭქეს, თქვენი ჭირიმე, სასოფლო სკოლა; თუ თქვენის შემწეობით იმას გადავაკეთებთ სამრევლო სკოლად და იქ ასწავლის ჩვენი მეგვდელი მუქთად, მაგას რაღა აჯობებს, რომ მასწავლებლის ხარჯი მაინც მოიშორეს სოფელმა თავიდგან...

აი, სწორედ ეს „ხარჯის თავიდგან მოშორებაა“ მიზეზი, რომ ასე გულ-მოდგინედ სცდილობენ სოფლები საეკლესიო-სამრევლო სასწავლებლების დაარსებას. დარწმუნებულნი ვართ, თუ არ ეს გარემოება, თვით ისინივე არრევდნენ

წყნარებელი საბუთიც მილის წყლის გამოყვანისა ის იყო, რომ საშინლად ძვირად უჯდება ქალაქელებს თულუბით მოტანილი წყალი. ვისაც ცოტა მოშორებითა ჭქონდა სადგური, თულუბში სამს შაურს, აბაზსა და ზოგჯერ ხუთს შაურს იხდიდა, თანაც ხშირად მეთულუბის ქეიფზე იყო დამოკიდებული და ბეგრჯელ სამთხოვროდ უნდა ეელო მეზობლებში, რომ დასალევი წყალი ეშოვნა. ყველა სხვა მოსაზრებასაც რომ თავი დავანებოთ, ეს ორი საბუთიც საკმარისი იყო ქალაქის თვით-მართველობისათვის, რომ მილის წყალი გამოყვანა ტფილისში.

**

ეგ ყველაფერი სწორედაც რომ შესაწყნარებელი იყოსო—მეტყვის მკითხველი: რა ძალა ედგა ტფილისის თვით-მართველობას, რომ ავჭალაში გარბოდა წყაროების მოსაკრებად? რატომ არ გააფართოოვა ყორღანოვის მაშინა და ისევ მტკვრიდამ არ გამოიყვანა წყალიო? ნუთუ ფულები ძალას ატანდა, აუარებელი სიმდიდრე ეგულებოდა თავისს კასაში და ამის გამო მთელი ერთი მილიონნი მანეთი წყალში გადაყარა და წარბიც არ შეუხრია? რადაც მიჰმართა ქალაქმა ავჭალის წყაროებს, ამის პასუხს თქვენ დაინახავთ იმ საშინელს სამღურაგში, რომელსაც დღეს უგზავნიან ტფილისს თვით-მართველობას გაზეთში, რომ ყორღანოვის მაშინიდამ ძლიერ უსუფთაო წყალს აძლევს ქალაქი მუშტარსაო. მართლაც და, თუმცა კიდეც აწმინდავებენ მტკვრის წყალს, მაგრამ უკანასკნელი ისეთი ტალახიანია, რომ თითქმის შეუძლებელია მისი დასუფთავება. მტკვრის მოდიდებაზედ მუდამ ასეთი საჩივარი იქმნებოდა მიმართული ქალაქის თვით-მართველობისკენ, მუდამ ასეთს სამღურავსა და გაუთავებელს საყვეღურში იქმნებოდა იგი, უკეთუ არ გამოჰნა-

ყოველ სხვა გვარს სასწავლებელს. სამწუხაროდ, თითქოს ესეც-კი ხელს უწყობს და საეკლესიო-სამრევლო, ამ შედარებით მდარე, სასწავლებელს აძლევს უპირატესობას. ჩვენის აზრით, დიდს სამსახურს გაუწევენ ქვეყანას სოფლის მეთაურნი და გონიერნი კაცნი, რომ არ ურჩევდნენ სამინისტროს სასწავლებლების გაუქმებას. მხედველობაში იქონიონ ისიც, რომ ზოგიერთს სოფელში, საცა ეკლესია არ არის, მხოლოდ სამინისტროს სასწავლებლის დაარსება შეიძლება, საეკლესიო-სამრევლო სასწავლებელი უეჭველად ეკლესიასთანვე უნდა იყოს.

ერთი სხვა ნაკლიც თან სდევს ამ საეკლესიო-სამრევლო სასწავლებლებს. ბევრგან სოფლებში, როგორც მოგეხსენებათ, სხვა-და-სხვა სარწმუნოების მოწოფენი ერთად სწავლობენ და ამით ერთად ცხოვრებას, ერთმანეთის შემვნევას თითქმის სასწავლებლიდგანვე ეჩვევიან. გლეხ-კაცის სასწავლებელში შვილის მიბარებას, სხვათა შორის, ისიც ახარებს და ახალისებს, რომ თუ მისმა შვილმა ამ სასწავლებელში სწავლა დაამთავრა, სამხედრო ბეგარის გარდასახდელად მეოთხე ხარისხის შედგავთი ენიშნება. ამ შედგავთის მიდება სამინისტროს სასწავლებელში ყველა სარწმუნოების მოსწავლეს შეუძლიან, თუ სწავლა დაასრულა და ეგზამენი კარგად დაიჭირა. საეკლესიო-სამრევლო სასწავლებელში-კი ასე არ არის. ერთი საუბარქონ სამოსწავლო საბჭო დაეკითხა წარსულის წლის ნოემბრის თთვეში უწ. სინოდს, ჩვენს სასწავლებლებში ლიუტერანის სარწმუნოების ბავშვები სწავლობენ, სამდვთო წერილი არ იციან ჩვენი და სხვაფრივ ყველაფერი კარგადაა აქვთ შესწავლილი, სამხედრო ბეგარის შედგავთის მოწმობა უნდათ და რას გვეტყვითო, და აი რა პასუხი მოუვიდათ:

1) სასულიერო უწყების საეგზამენო კომისიებში გამოცდის უფლება საეკლესიო-სამრევლო სასწავლებლების ყველა მოსწავლესა აქვს, სარწმუნოების განურჩევლად.

2) საეგზამენიოდ ნება დართულ სხვა სარწმუნოებისა და მწყალებელთა ყმაწვილთ, თუ ჰსურთ სამხედრო ბეგარის საშეღავათო მოწმობა მიიღონ, უუმეველად სამღვთო წერილის ეგზამენიც უნდა დაიჭიროონ.

3) ვინც ამ ეგზამენზედ უარს იტყვის, იმათ არამც თუ სამხედრო ბეგარის საშეღავათო მოწმობა, არამედ საეკლესიო-სამრევლო სასწავლებელში სწავლის დამთავრების მოწმობაც არ მიეცემათ, თუნდა სამხედრო ბეგარის შეღავთისაც არა თხოულობდნენო.

ეს გარემოება ბევრს მოსწავლეს სულ ერთიანად გულს აუურის სწავლაზედ და უარს ართქმევინებს. სამინისტროს სასწავლებელი რომ გაუქმდეს და საეკლესიო-სამრევლო დაარსდეს, რა უნდა ჭქმნას სხვა სარწმუნოების გლეხ-კაცმა, სად უნდა მიაბაროს თავისი შვილი?! აი, სხვათა შორის, ამიტომაც არის სასურველი, რომ არ გაუქმდეს ერობისა და სამინისტროს სასწავლებლები, რომელნიც 1874 წლის 25 მაისის დებულებას ექვემდებარებიან და სამაზრო სამოსწავლო საბჭოს უწყებაში არიან. ამ სასწავლებლებს უფლება აქვთ ყველა თავისს მოსწავლეს მისცენ სამხედრო ბეგარის შედგავთი, სარწმუნოების განურჩევლად.

განმეორებით მოკლედ გამოვსთქვამთ ჩვენს აზრს: დიდად სასურველია საეკლესიო-სამრევლო სასწავლებლის დაარსება, მხოლოდ იქ-კი, სადაც სხვა გვარი სასწავლებელი არა არსებობს-რა და ამასთანავე სადაც სოფელი იმდენად დარიბია, რომ სამინისტროს სასწავლებლის დაარსებას შეძლება ხელს არ უწყობს. არ უნდა გაუქმდეს ერთი სასწავლებელი, სამინისტროსი, და იმის მაგიერ საეკლესიო-სამრევლო დაარსდეს, რა არის ხარჯი შეგვიმსუბუქდება და მასწავლებლის ჯამაგირის ძლევას თავიდგან ავიცილებთო, რადგან ამ ხარჯს თავისი სარგებლობაც მოაქვს. დასასრულ ვიტყვით, რომ საეკლესიო-სამრევლო სასწავლებელს მხოლოდ მაშინ ექმნება აზრი და მნიშვნელობა, მაშინ გამოიდებს კეთილს ნაყოფს და სასურველი და სასარგებლო შეიქმნება, როცა სლავიანურ-ხუცურს თავს დაანებებს და უმთავრესი ადგილი დაეთმობა ჯერ დედა-ენის რიგიანად შესწავლას, მოსწავლეთა ზნეობრივად გაუკეთესებასთან, შემდეგ რუ-

---

ხავდა საიდმე წყაროს წყალს და მისის სისუფთავით არ მოიგებდა დაუკმაყოფილებელს გულს ტფილელისას. ყველაზე ახლო ტ ბევრი წყაროს წყალი მიდამოებში მხოლოდ ავჭალას შეაჩნდა, რის გამოც ქალაქი შეჩერდა ამ წყაროებზე. ამასთანავე ექიმებმაც დაიამენდეს თვით-მართველობა შესახებ ამ წყაროების სიკეთისა. მართლაც, აგერ ოთხი წელიწადია, რაც ამ წყალსა ვხმარობთ, და ფიზილიც არავის წამოგვტაკებია. თანაც ჩვენი მილის წყალი ზამთარში თბილია მტკვრისაზე, ზაფხულში-კი უფრო ცივი. და უკეთუ მხედველობაში მიიღებთ, რომ თოლუოს წყალზე უწინ ვედროში ვაძლევდით თითქმის ერთს კაპეიკს და ეხლა კაპეიკად ხუთი ვედრო მოგვდის, ვისაც თავისს ეზოშივე აქვს გაყვანილი ეს წყალი, თქვენ დამეთანხმებით, რომ ზარალი არა გვინახავს-რა ქალაქელებს, მოგვდის სუფთა წყაროს წყალი, რომელიც შეგვიძლიან ხუთჯერა და ათჯერ იაფად

დავისვათ, ვიდრე უწინ გვჯდებოდა მტკვრის წყალი. მაშასადამე, ამ მხრივ ჩვენ საბუთი არა გვაქვს ხელში, რომ საყვედური მივმართოთ იმათკენ, ვინც ასეთი საქმე იკისრა და სისრულეში მოიყვანა.

მაგრამ იქნება იმიტომ უნდა გავმართოთ საჩივარი, რომ ჩვენს თვით-მართველობას, აუარებელ სიმდიდრის გამო, შუბლიც არ შეუხრია, როდესაც ერთს მილიონს ფულსა ჰხარჯავდა ამ საქმეზე? უნდა მოგახსენოთ, რომ ვინც ცოტაოდნად მაინც არის ამ საქმეში ჩახედული, ყველამ იცის, რამოდენა ყოყმანსა და ტოკვაში იყო ტფილისის თვით-მართველობა, როდესაც ჰბედავდა თავის სიღარიბიდამ ერთის მილიონის დახარჯვას. სულს აქეთ გროში არსად მოეპოვებოდა თავისუფალი, უნდა აეღო ვალი და მის შემწეობით ჩამოეტანა ტფილისში უკეთესი წყალი.

**

აბა ახლა გავსინჯოთ, იქნება ამ

სულს ენას და, ამას გარდა, აგრეთვე სამხედრო ბეგარის გარდასახდელად მეოთხე ხარისხის შედგათსაც მიანიჭებს ყველა თავისს მოსწავლეს, სარწმუნოების განურჩევლად, როგორც ყოველი სხვა სასწავლებელი ანიჭებს...

მანოელიძე

ახალი ამბავი

*** 1-ლის ივლისიდამ 15 მარიამობის თთვემდე სახალხო წიგნთსაცავი გოლოვინის პროსპექტზე, საქალაქო გიმნაზიის გვერდით, დაკეტილი იქნება.

*** რუსულის ენიდამ ქართულს ენაზე თ. ტუსიშვილს გადმოუთარგმნია რამდენიმე წვრილი ლექსი ლერმონტოვისა და ორიც პოემა, სახელდობრ:—„იზმაილ ბეი“ და „მცხეთ“. ამათ გამოცემას ცალკე აპირობს მთარგმნელი.

*** ტფილისის ახლოქმახლო სოფლებიდან კაი მოსავლის ხმები მოგვდის; თუ ასე გასტანა ამინდებმა, წელს გლეხ-კაცობა პატარა ზურგს გაიმაგრებსო.

*** ტფილისში სცხოვრებს ერთი მოხუცებული ქართველი კაცი, რომელიც 1840 წლებში „საქართველოს უმთავრესს სამმართველოში“ ყოფილა მოსამსახურედ, უფროსი ადგილი სჭერია და ნ. ბარათაშვილი მის ხელქვეითად ყოფილა—საქმის მწარმოებლად. ამისაგან ნაამბობს ამბებს ბარათაშვილის შესახებ ცალკე სწერს ერთი ქართველი კაცი.

*** ამ დღეებში გამოვა და დაურიგდება ხელის მომწერლებს მე-IV წიგნი ჟურნალის „ჯეჯილი“-სა. წიგნში მოთავსებული იქნება შემდეგი სტატიები

I. მეცოთხეკე, ლექსი მღვიმელისა, II. ნაბდალ, საყმაწვილო ამბავი, თ. რაზიკაშვილისა, III. მოიოდი, ლექსი აკაკისა, IV. დეკოს-წეკლობა, მოთხრობა გ. წერეთლისა, V. ჩიტმა რა უთხრა ბესს, ლექსი თ. რაზიკაშვილისა, VI. დეკ-ბმარი ბარგანტუა, ფრანგ. ლეგენდა, ეკ. მ—სა, VII. მეფე-ჩქარის ამბავი, ლექსი დ. მაჩხანელისა,

---

მილის წყალის გაკეთებით ისეთს ვალში ჩაავდო თვით-მართველობამ ქალაქი, რომ ხსნა არსაიდამ არის, და ამიტომ იგი გასამტყუნარია—რას ემართლებოდი შენს ამომრჩეველს, რაზე დაჰლუპე ტფილისის მცხოვრებელი, რომელსაც მართალია ადრე ცუდი სასმელი წყალი ჭქონდა, მაგრამ ვალი მაინც არ უხუთავდა სულსაო. ჩემის აზრით, სხვაში რომ ყოველი საბუთი სუსტი იყოს, ამ მხრივ ანგარიში ჩვენის თვით-მართველობისა ხელშეუბრუნებელია. აიღეთ „ჩოტკი“, დაადეთ სალოკი თითი, გაავანგამოაქანეთ და თქვენ თითონ დაინახავთ, რომ თუმც-ღა ვალი დაიღო ქალაქმა წყალის გამოყვანაზე, მაგრამ მაგისთანა ვალი საშიში-კი არა, სწორედ სანატრელია. ქალაქს ეგონა, მილის წყალს გაიმართავდა 800,000 მანათით, ხოლო დაეხარჯა მთელი ერთი მილიონი. დღეს ამ მილიონის გადახდაზე ვალითა და სარგებლით, მილის წყალის მოსამსახურეებზე და თი-

---

VIII. მეცოცხე ჰეტრიეკ, ფრანგულ. გადმოღე. ბ. ა. თ—სა, IX. კორი და ბგელი, ხალხური ლექსი, X. ისრასმესრის სასდღის ქალი, ზღაპარი, XI. სამყარო, ჰერშტეკერის თხზ. გადმოკეთებული, ი. ბაქრაძისა, XII. ჭერაჯალ, ალ. ჭიკინაძესი, XIII. რას ნასაკდ შაქრო სიზმარში, ა. თ—სა, XIV. ზრდადობაანი სიტყვა-ბასუხი, XV. კეთილშობილური საქმეები, XVI. ანდაზები, გამოცანები, ზმა, სამათემატიკო გამოცანები, შარადა და რებუსი.

*** გუშინ, ამ თვის 28, საფოსტო-სახალხო მატარებელი № 2, ბაქოდგან ტფილისში მომავალი, დაგვიანდა. მიზეზი ისა ყოფილა, რომ სადგურს „კირუკჩაის“ ახლოს დიდი ნიაღვარი მოვარდნილა და რკინის გზის ლიანდაგი წაულეკია მე 498 ვერსზე. მატარებელი სადგურს „გერანში“, გაუჩერებიათ 1 საათ. და 20 წუთ. იმავე ღამეს წვიმა გადაუღია, რკინის გზის ლიანდაგი გაუსუფთავებიათ და მატარებელიც გამოუტუმრებიათ ტფილისში. საქონლის მატარებლები ბრძანებისამებრ მე 500 და მე 497 ვერსზედ ჩერდება და შემდეგ ძლიერ ნელა მიდი-მოდის.

ამას გარდა დიდს ნიაღვარს სადგურს „ძერულში“ წაულეკნია რკინის გზის ხიდი, რის გამოც ამ თთვის 27 მატარებლების მიმოსვლა საღამომდე შესწყდა.

*** ამ დღეებში ქალაქის გამგეობის განკარგულებით გახსნიან ჩასაგალებმდ. მტკვარზე სულ ყველას-კი არა, მხოლოდ ზოგიერთს.

*** წარსულს კვირას ყოფილა უკანასკნელი კრება საეპარქიო საბჭოსი თავსმჯდომარეობით სემინარიის რექტორისა, რომელიც მიწვეულია პეტერბურგს ამ წლის დამლევამდე. ამ კრებაზე სხვათა შორის განუხილავთ ახალი, მერვე გამოცემა ედდა-ენისა და მეთოდიური სახელმძღვანელო მასწავლებელთათვის რუსულს ენაზედ, რომელიც შედგენილია ბ-ნ ი. გოგებაშვილისაგან. ერთიცა და მეორეც, თანაბმად რედაქტორის წინადადებისა, საბჭოს მოუწონებია—პირველი წიგნი, როგორც სახელმძღვანელო მოსწავლეთათვის, ხოლო მეორეო როგორც სახელმძღვანელო მასწავლებელთათვის.

*** სოფ. ქარელი. ამ დღეებში ქართულ წარმოდგენის გამართვას აპირობენ იქაური სასოფლო სკოლის სასარგებლოდ. ამბობენ, სკოლა ძალიან ღარიბიაო, და ჩვენ გვაკვირვებს ეს ამბავი, რადგან აქ ხშირად იციან წარმოდგენების გამართვა საქველ-მოქმედო საქმეების სასარგებლოდ.

ამ სამი-ოთხის წლის წინად ორის წარმოდგენის შემოსავალი თსუთმეტა თუმანი (150 მან.) დარჩა და, როგორც გვახსოვს, აქაურის სკოლის სასარგებლოდ იყო დანიშნული. ვის გადაეცა ეს ფული, ან რას მოხმარდა, ამისი ანგარიში გაზეთებში არ ყოფილა გამოცხადებული, მაშინ როდესაც მოთავენი ბევრი ჰყავდა ამ საქმეს, სხვათაშორის თ ავ. დ. ც—ლ ი ც.

თითონ თავ. ციციშვილებიც არა ჰხოგავენ საზოგადო საქმისათვის შემწეობას. ამ ხუთი—ექვსის წლის წინად ციციაანთ გვარეულობის კანტორამ ქარელში სასკოლო სახლის ასაგებად შესწირა ადგილი, ხის მასალა და ორმოცდა-ათი თუმანი ფული; სახლიც ისეთი უნდა აგებულიყო, რომ შიგ, სკოლის გარდა, წარმოდგენებისათვის სცენა და წიგნთ-სასაცავიც მოთავსებულიყო. შეწირული ფული კანტორიდამ დროებით გაუტანია დ. ბ—შვილს და მასუკან არც სარგებელი სჩანს და არც თავნი ამ ფულისა.

*** ასალ-სენაკი: ჩვენს დაბას სძინავს. გასართობი აღარა არის-რა. სამაგიეროდ ქურდობა და ავაზაკობა ძლიერდება. ამ თთვის შუა რიცხვებში აქაურს მცხოვრებს ი. და ნ. ჯი—ებს მოჰპარეს სამი რჩეულ-რჩეული კარგი ცხენი შიგ შუა ქალაქში. თუმცა-ღა ორიავენი დიდის გულ-მოდგინედ შეუდგნენ დაკარგულის აღმოჩენას, მაგრამ ჯერ-ჯერობით დაკარგულის კვალი ვეღარსად აღმოუჩენიათ. ჩვენსკენ ადრევ მოსავალს კარგი პირი უჩანდა. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, 25 ამ თთვისას უეცრად ამოვარდა სასტიკი აღმოსავლეთის ქარი და ძალიან ავნო ნათესს ჯეჯილს და ძალზე მიანტვრ-მოანტვრია, ასე რომ ნახევარი სიმინდი ფეხზე აღარა სდგას. ზოგიერთს ადგილას ხეხილებსაც ავნო და ნამეტნავად „იზაბელას“.

*** სოფ. კვი. (სენაკის მაზრა): ჩვენში ქურდობას ისე შეეჩვევნენ ზოგი-

---

ლი და თანაც კიდევ წელიწადში ათი ათასი თუმანი მაძლიო, მაგისთანა ვალისა არა თუ არ შემეშინდება, პირიქით, დიდის სიხარულითაც მივეგებები, ოღონდ-კი მომიხერხო. ეხლა ტფილისი დიდს გაჯირვებაშია ხორაგეულობის საშინელის სიძვირისა გამო. ისე ვართ ჩაცვინული ყასბების დაუნდობელს ხელშის როგორც აქამდე ვიყავით მეთულუხეების ხელში. თუკი თვით-მართველობა იკისრებს, იშოვნის ფულს, გინდა ვალით, გაჰმართავს საქალაქო სავაჭროებს, მოგვცემს უკეთესს ხორცს და თან გაგვიფფებს, განა ამაზე კარგი და სანატრელი იქნება-და რამ ტფილისის მცხოვრებთათვის, მდიდრებს იტყვით თუ ღარიბებს? ამისთანა საქმეში ცოტა რომ კიდეც იზარალოს ქალაქის კასსამ, მაინც საქებური და სასიქადულო იქნება ღვაწლი თვითმართველობისა, და თუ თავნზე გამოგვიყვანს და მეტადრე თუ ცოტაოდენს მოგებასაც მოახერხებს, რომ იმით ახლა სხვა სა-

ერთნი მკვიდრნი, რომ იძულებულნი ვართ, რაიმე ძალ-ღონე ვიღონოთ მათ წინააღმდეგ. ეს ხელობა, სამწუხაროდ, თან და თან ვრცელდება და ლმის შეგვირყიოს ის მყუდრო და მოსვენებული ცხოვრება, რომლითაც სტებოდა ამ რამდენსამე წლის წინად ჩვენი მხარე. შინიერები არა ნაკლებსა სჩადიან გარეშე ქუდ-ბაცაცებზე... სხვა ქურდობას გარდა ამ ჟამად არც სახლები დასტოვეს დაუთვალიერებელი. გააქვთ ოჯახის მოწყობილება, რასაც-კი მოავლებენ ხელსა. 19 ამ თთვისას ერთს აქაურს მცხოვრებს ვ. ჯინორიას მოჰპარეს 263 მანეთი ფულად და 70 მანეთის ღირებული ქალის ნივთეულობა. ჯინორიამ ეჭვი აიღო სამს კაცზე და გამოუცხადა ადგილობრივს მამასახლისს, რომ ჩემი დამღუპველი ეს და ეს კაცები არიანო. მამასახლისმა ექვსიოდე კაცით ჩუმად გაუჭხრიკა სამსავე სახლი. დაკარგული ნივთეულობა აღმოაჩინეს დ. ადა—სთან, ფული-კი ჯერ-ჯერობით არ არის აღმოჩენილი. მამასახლისმა ოქმი შეადგინა ამ საქმეზე და გარდასცა სადაც ჯერ არს. სრული დარწმუნებული ვართ, რომ ის 263 მანეთიც აღმოჩნდება...

*** ბევრს საქმეს ჩვენი ქალაქის გამგეობას დღემდე ისე აძლევდა სხვებს, რომ ზარალს თუ ანგარიშობდა, თორემ მოგებას ვინ დაეძებდა. გაზ. „ნოვ. ობზორ“-ის გუშინდელი ნომერი ამის მაგალითსაც გვიჩვენებს. როგორც მოგეხსენებათ, ამას წინად ქალაქის ქუჩა-მოედნების განათების საქმე იჯარით გაიცა. ვაჭრობას ბევრნი დაესწრნენ, რომელთაც ჰსურდათ იჯარით აღება ქალაქის განათებისა. საქმე იმით გათავდა, რომ ეს საქმე წელს 600 თუმნით ნაკლებ გაიცა, ვიდრე დღემდე ჰქონდა ქალაქს გაცემული.

მეორე მაგალითიც: კუკიის მხარეს ქალაქს აქვს ისეთი ადგილი, სადაც ქვას ამტვრევენ. ეს ადგილი დღემდე მხოლოდ ხუთს თუმანს იძლეოდა წელიწადში შემოსავალს. 27 ამ თთვეს გამგეობის დარბაზში ვაჭრობა იყო დანიშნული და კუკიის ქვის სატეხი ადგილები ბელგიელთა საზოგადოებას ქალაქის ცხენის-რკინის-გზებისას დარჩა წელიწადში 40 თუმნად. კიდევ მესამე მაგალითი: გამგეობას ჰყავდა იჯარადარი, რომელიც ქალაქის ეტლებისათვის უმზადებდა ნომრებს და ამისათვის იხდიდა წელიწადში 723 მან. და 50 კაპ. 27-სავე ამ თთვეს ამის ვაჭრობაც იყო და იმავ იჯარადარმა ეს საქმე აიღო 344 მან. და 5 კაპ. წელიწადში.

ცხადია, თუ ესე შეიმოკლა ქალაქმა ხარჯი ყველა საიჯარადრო საგანში, ბევრს შეღავათს იპოვის უდგილო ხარჯების გაღებაში.

*** 26 ივნისს, ღამით, პატარა-ვანქის ქუჩაზე ნიკოლოზს მირველოვის სარდაფიდგან მოიპარეს ერბო და სხვა ხორაგეულობა 32 მანეთისა და 80 კაპეიკისა

არჩილური, ფვიდ-თავი

(საამდროო ამოცანები)

—

დროზე მეკვირი სიტყვა იცის, წერითაცა სწერს თამამად,
აწინდელის ცხოვრების სვე საზრუნად აქვს ცა საწამად,
თავისასას არას დასდევს, ეკიდება არაბამად,
ამ დღის ვარამს მედგრად ებრძვის და მით ყოფა უჩანს შხამად.

დაბა ბ სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ქსნის ხეობა (ფარგასის საზოგადოება). ჩვენს საზოგადოებაში თხუთმეტამდე პატარ-პატარა სოფელია, აქა-იქ მთის წვერებზე გაფანტულ-გამოფანტული. ადგილი, ჰავა, ტყე და წყალი მშვენიერია და ზაფხულში აქ ცხოვრება, ცხონებას რომ ატყვიან, სწორედ ისაა. ამის გამოც ჩვენის საზოგადოების ხალხი მეტად ჯანსაღია და სხვა სენისა და ავადმყოფობის შიში არა აქვს-რა, თუ ათასში ერთხელ წითელა და ყვავილი არ გვეწვია. ერთის სიტყვით, ამ მხრით კარგაა ჩვენი საქმე, მაგრამ გასაჭირი ისაა, რომ სახნავ-სათესის მიწების ნიადაგი ძლიერ მწირია, რის გამოც თითქმის ყოველ წლივ, კარგს მოსავლობასაც-კი, მომეტებული ნაწილი ჩვენის საზოგადოების მცხოვრებთა იძულებულია, პური იყიდოს ხოლმე. ამიტომაც, რაკი ერთხელვე დარწმუნებულან ჩვენი მამა-პაპანი, რომ მარტო ხვნა-თესვის მიმდევრობა ვერ დაგვარჩენს და უზრუნველვ ვერა გვყოფსო, სხვა საქმისთვისაც მოუკიდნიათ ხელი. თვით ბუნებას, ტყისა და ბალახის სიმრავლეს, უსწავლებია მათთვის, რომ თქვენთვის სახეირო და გამოსადეგი ხელობა უფრო საქონლის მოვლა-მოშენება�ა. და სწორედ ასეკაა ჩვენი საქმე; ვისაც ჩვენში შეძლება აქვს და რიგიანადა სცხოვრობს, ყველას ცხვრითა და საქონლით შეუძენია სარჩო. მაისიდგან დაწყებული მარიამობისთვის დამლევამდე მტკვრის გამოღმა მხრის ცხვარი სულ ჩვენებურს მთებში სდგას და ყველსაც აქვე აკეთებენ; მხოლოდ ამ ყველითი იმის მეხუთედსაც ვერ სარგებლობს ხალხი, რაც უნდა ესარგებლა, რომ განკარგებულის წესით კეთდებოდეს ჩვენებური ყველი და მეორეც, ჩარჩები რომ არ უდგნენ კრიბაში და თავისებურად არ ატყუებდნენ ხალხსა. დადგება თუ არა ან მატყლის, ან ყველის დრო, ესენიც მაშინვე თავს დაგვკრავენ ხოლმე. ახლა უნდა იცოდეთ, თუ როგორა ვაჭრობენ. მოიტანენ ურმებით მარილს და ფულის მაგიერ, ამ მარილზე აცვლევენებენ ყველსა და ისე ეზიდებიან ტფილისში. ხოლო გაცვლით-კი ერთს წონა ყველში ორ წონა ნახეკარსა და სამს წონა მარილს მეტს არ აძლევენ. ამ გვარად ყველს ჩარჩები შაუზრუ ნაკლებად ისვამენ გირვანქას მაშინ, როდესაც იგივე ყველი ტფილისში გირვანქა სამ შაურად და ხანდახან იმაზე მეტადაცა ფასობს. ამ გვარადვე ატყუებენ მატყლის ვაჭრობაშიც, თუ პატრონებმა არ მოასწრეს და თითონვე არ წაიღეს ტფილისში გასასყიდად. მაგრამ ამას მხოლოდ ისინი თუ მოახერხებენ ხოლმე, რომელთაც ბლომად მოსდით, თორემ ოკ-და-ათისა და ორმოცის კანძის მექონეს რა ხელს მისცემს ტფილისში წავიდეს ამის გულისთვის და თითქმის ერთს კვირამდე მოსცდეს. სწორედ ამ გარემოებისავე წყალობით თითქმის, სულ მუქთად ეზიდებიან ვაჭრები ჩვენებურს გვირილას, რომლისაგანაც ჩითეულობის საღებავი წამალი მზადდება თურმე. მოდიან გვირილობის დროს ვაჭრები, უკიდიათ ცხენებზე დამპალი ფართალი, სკვლიან თავისებურად გვირილაზე და შემდეგ თითონ ტფილისში ჩააქვთ და ფუთს 10—12 მანათად ჰყიდიან. ერთის სიტყვით, საცხოვრებლად სახსარი მრავალ გვარი მოუცია ღმერთს ჩვენთვის, მაგრამ ყველგან დაუპატიჟებელი სტუმრები გვეჩხირებიან და მომეტებულს თავისკენ ითლიან. ჩვენებურის ხალხის ერთად-ერთი ხელობა, რომლისათვისაც ვაჭრებს ჯერ-ჯერობით თავისი მფარველობა არ აღმოუჩენიათ, ჟურ-ქლის კეთება გახლავთ. ქსნის ხეური (საძეგურისა და ცხავატის) ჟურქელი მეტად მშვენიერად და ციად ინახავს წყალსა და მთელს ქართლშიაც განთქმულია. სოფელს ცხავატში თითქმის დიდმა და პატარამ, ქალმა და კაცმა ყველამ იცის ჟურქლის კეთება. როცა-კი სამუშაო არა აქვს ხალხს მთებსა და ტყე-მინდორში, ან კიდევ როცა ავდარია, ყველანი შინა სხედან, უდგიათ ჩარხები და ჟურქელს აკეთებენ. ამიტომაც თითქმის ყოველ კვირაობით ათი-თორმეტის ცხენის საპალნე გამომწვარი ჟურქელი მიაქვთ ტფილისში და პირიან ფასად ასაღებენ. ეს ხელობა ძლიერ უმაგრებს ზურგს ცხავატელებსა: დედაკაცები და ბალღები რომ უსაქმურად არა რჩებიან და ასე თუ ისე სახლს ხელს ახმარებენ, ეს ჩვენებურის კაცისთვის დიდი საქმეა. ყველას ესმის ეს გარემოება და ამიტომ, რაც-კი შეუძლიანთ, მუყაითად და სინდისიანად ეკიდებიან მეჟურჟლეობას. ზოგი ისე შნოიანად და კოხტად აკეთებს ნიტრებსა და ქილებს, რომ მართლა მოსაწონია. ერთმა მეჟურჟლემ, სახელდობრ ჭიანა სუხაშვილმა, ადრეე რუსეთშიაც გაგზავნა თავისი ნაკეთები ჟურქელი და ათ თუმნამდე საჩუქარი მოუვიდა. რომ ვინმემ ითავოს და ჩვენს მეჟურჟლეებს მოკაშანურება ასწავლოს, სწორედ მადლს იზამს. მაშინ აქაურს ჟურქელს უფრო მეტი გასაღები ექნება და ფასადაც ერთიორად მეტად დაფასდება. ეს მით უფრო შესაძლებელია, რომ, როგორც გაგონილი მაქვს, აქაურის ჟურქლის მოკაშანურება უკვე უცდიათ, მხოლოდ აქ-კი არა—სხვაგან და ჩინებულად მოკაშანურებულა.

სიგმა

წერილი რედაქციის მიმართ

ნება მაპოძეთ, ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ ფაღდაკანდაისა სატყეო კანტორის შესახებ ბახუსად ამ წარდასა, რომელიც იყო დაბეჭდილი გაზ. „ივერიაის“ № 108 ნომერში კანტორის ბუღალტის გამეგებლის მიერ.

ჩემის აზრით, ძველი გამგეობა კანტორისა ბ-ნი ზ. ნ. ფაღდაკანდაშეილი ამბად ცდილობს თავისს გამართლებას. მოქმედება ზედამხედველის კომიტეტისა მის დასთანხმის შესახებ სრულიად კანონიერი იყო, რაც შეეწყობრა ხმის უმეტესობით (19 ხმა და არა 12, როგორც სწერს თ. ზ. ნ. ფაღდაკანდაშეილი, წინააღმდეგ 16 ხმისა) ამსანგობის ერთობამ 24 თებერვალს ამ 1891 წელს. თუმცა უნდა ვსთქვაო, რომ ასეთი შეწყობრება საჭირო არ-კი იყო, რადგან დასთანხმა ბეკლისა და დანიშნა ახალის გამგებლისა, ამსანგობის წესდებით, ბარ-და-ბარ კამიტეტის საქმეა. ამის გარდა მისი მოქმედება სრულიად კანონიერად სცნეს მისგან არჩეულმა მედიტორებმა, რომელი გარდწყვეტილებას ბარი თავისს დროზე კამოეცხადა ბეკლს გამგებელს. ამაკე მედიტორებმა გაუკეთეს გარდწყვეტილება 16 თებერვალს ერთობისა, რომელზედაც ხელმეორედ აარჩიეს გამგებლად ისევ ბ-ნი ზ. ნ. ფაღდაკანდაშეილი.

თქვენ-კი, ბ-ნო ზ. ნ. ფაღდაკანდაშეილო, თქვენი თავი მართალი გეგონოთ და ამ ამბადი მედიტორობით საქმის გადწყვეტა თქვენც მოინდომეთ. თითონ თქვენ გაგზავნეთ მედიტორეთა მოსაწყვეკად თქვენგანვე ამორჩეული „ნადსმოტრშიაკი“ და, რაკი გეშინოდათ, ვაი თუ მედიტორეთა გარდწყვეტილებას არ დასთანხმდნენ ჩემი მოწინააღმდეგენიო, თქვენვე სთხოვეთ მედიტორებს, ბარობა ჩამოართეთ კამიტეტს, რომ თქვენს გარდწყვეტილებას დაეთანხმონო. მედიტორებმაც ჩამოგიართვეს ეს ბარობა, დასხდნენ ბჭობად და, ხომ მოგახსენებთ, რაც მოჰქონა ამ ბჭობას. ახლა გამოსულიხართ და ბრძანებთ გაზეთში, მედიტორეები მე არ ამორჩეიანო, მედიტორეთა გადაწყვეტილება არც ჩემთვის და არც სხვა ფაღდაკანდაისათვის სავალდებულო არ არისო, ჩემმა მოწინააღმდეგეებმა აარჩიეს მედიტორენი და ამითაც მთელ სასიამოვნოდ გადასწყვეტეს საქმეო.

ასეთი თქვენი სატეკეები, ჩემის აზრით, საწყენად უნდა დარჩეთ ამ პატიოსან და დარბაისელო კაცო, ამ ჩვენს შეზობლებს, რომელთა კეთილ-სინდისიერებას ჩვენ ვენდვეთ. როგორ, ბატონო, მაშ მედიტორებმა საქმე კარგად არ განსაჯეს და თქვენ უბრალოდ გაგაძ-

---

კეთილო დაწესებულებას მოჰკიდოს ხელი, მეტი რალა გვინდა! უეჭველია, ეს ასეც იქნება. მაგრამ ამაზედ სხვა დროს გვექნება უფრო ვრცელი ბაასი. ეხლა-კი უნდა ვსთქვათ, რომ ფულის მხრივ მილის წყალზე აღებული ვალი ჩვენთვის მხოლოდ დიდად სასარგებლო გამოდგა.

**

მაგრამ ამ წყალს ერთი დიდი ნაკლულოვანება სჭირს და ეს ნაკლულოვანებაც ის არის, რომ ძალიან ცოტა წყალს იძლევა. უფრო ჩრდილოეთს ქალაქებში მილის წყალი თითო სულზე 15—18 ვედროს იძლევა დღეში; ჩვენი მილის წყალი-კი ძლივს $3^1/_2$ ვედროს, მაშინ როდესაც ამ 20 ვედროც ერთიერთმანეთზე ძლივს მოსწყდეს პირს თითო სულს, რომ ქუჩებიც ხშირად გვქონდეს მორწყული, ეზოებიც და ყველა სხვა საჭიროებაც დაკმაყოფილებული გვქონდეს. ჩვენი მილის წყალი ტფილისის მცხოვრებთან შედარებით ისეთი მცირე რამ არის, რომ ამ ერთ-ორს წელიწადში აღარც-კი შეგვეძლება საზოგადო ონკანებზე ვიყიდოთ წყალი. ვისაც-კი თვალ-საჩინო სახლი აქვს, ყველა აცხადებს სურვილს—ეზოში გამოგვიყვანეთ წყალია. ყველას რომ შეუსრულოს ქალაქმა ეს მოთხოვნილება, წყალს სულ სახლებში დაირიგებენ და მაშინ გასაყიდი წყალი აღარც-კი ექმნება ქალაქს ქუჩის ონკანებზე.

მიზეზიც ეს არის, რომ ჩვენს თვითმართველობას დღეს მეორე წყალის გამოყვანა მოსდის ჯაბაში. ხოლო ჯერ არავინ იცის გადაწყვეტით, როგორი წყალი უნდა იყოს გამოყვანილი და საიდამ. მტკვრის ღირსება უკვე ვიცით და რაკი ერთხელ უკეთესი წყალი ვიგემეთ, ისას აღარავინ დაუბრუნდება. არაგვის წყალი ვერ არის კაი სასმელი და მცხეთაში ისევ მღვრიე მტკვრის წყალს ეწყობიან და არაგვისას პირუტყვსაც არიდებენ. მაშასადამე, ეს მდინარენი ჩვენ ხელს ვერ შეგვიწყობენ. ამის გამო ქალაქმა სხვაგან უნდა იღონოს რამ ღონე. ფშაველში ღელსაც არის ზეპირ გადმოცემა ხალხში: თამარ დედოფალმა ყველგან ასწონა წყალი და ყველაზე სუბუქი გამოდგა შარახეულას წყალი, რომელიც გაიყვანა ტფილისში არხითაო. შარახეულას წყალი თურმე მახათის ძირთან გადადიოდა ნავთლუღისაკენ და იქიდამ ყარაიის მინდვრებსა ჰრწყავდა, რის გამოც ეს მინდვრები ერთს დროს აყვავებული ყოფილა და იქ გაჩაღებული ცხოვრება ჰქონია ათს დიდს სოფელს. ამბობენ, რომ კვალი ამ არხისა დღესაც აშკარადა სჩანსო და ამოწშენდის მეტი არა დასჭირდება-რა, რომ შარახეულა კვლავ იმ არხით ტფილისში ჩამოვიდეს და მერე მიმართულ იქმნას ყარაიისაკენო, ხოლო აქა-იქ ხევებთან დასჭირდება დიდრონი მილებიო. ამბობენ აგრეთვე, რომ ერთს მცოდნე ქართველს 24 წლის განმავლობაში შეუსწავლია ეს არხი და პ

-ნიც გადმოულია, ბევრისთვის უთხოვნია დახმარება, რომ თამარ დედოფლის არხი აღედგინათ, გამოუნგარიშნია თურმე კიდეც, რომ მისი აღდგენა დაჯდება სულ რაღაც 154 ათასი მანათიო, მაგრამ მხარი არავის მიუციაო. აი, სწორედ ეხლა ისეთი დრო დაუდგა ამ ქართველს, გვარად ც—ს, რომ ადვილად შეისრულებს თავისს 24 წლის სურვილს. მხოლოდ საჭიროა ამ მოკლე დროს მოჰპარათოს ხავისის პლანებით ტფილისის თვით-მართველობას.

**

შარახეულის გამოყვანა არა თუ მარტო ჩვენის დედა-ქალაქისათვის იქმნება დიდი ბედნიერება და სიცოცხლეს მისცემს ტფილისის დამწვარსა და ამოფშრუკულს მიდამოს, არამედ ძალიან დიდს საჭიროებას შეადგენს საგურამოსთვის, ბლდან-ავჭალისა და მეტადრე ყარაიის მინდვრებისთვის. ყარაიის თბილი ჰავა და მდებარეობა ისეთია, რომ თუკი სარწყავ მამულად გარდიქმნება, მისს სიმდიდრეს ვერც-კი გამოიანგარიშებს კაცი წინადვე; იმგვარი მცენარეები მოიკიდებს იქ ფეხსა, რომ შეიძლება დღიურმა მიწამ თითო სახლობას მისცეს წლიური სარჩო ცხოვრებისა.

ამის გამო, ვინც-კი იკისრებს თამარის არხის აღდგენას, იგი ნახავს გამორჩომას არა მარტო ტფილისის უნაყოფო მამულების განაყოფიერებით, არამედ უფრო მომეტებულს გამოჰრჩება ყარაიის ფართო ველსა. ადვილად შესაძლებელია, რომ ტფილისს ამ საქმეში დაეხმაროს აგრეთვე გუბერნიის ადმინისტრაციაც.

ასე იქნება თუ ისე დღეს მეორე წყალი აუცილებლად საჭიროა ტფილისის თვით-მართველობისთვის და სწორედ კარგს იზამდა ბ-ნი ც—ი, მალე მოემართნა ქალაქის წარმომადგენელთათვის.

სანო.

ტეფუნეს? არა მგონია, ეს სიტეკვები გეთქვათ ამ შემთხვევაში, უკეთუ მედიტორენი თქვენდა სასიამოვნოდ გადასწყვეტდნენ.

თქვენ ბრძანებთ კიდეკე, რომ კაბმაგორის დანიშნეს არ მათხოვნიაო, პირ-იქით, მე ადეკუოქი კანტორის ათი თუმანი, ოდინდ-კი სჯმე არ მოიშალოსო. არ გეკესმის, რა საწყინო იყო ეგ თქვენის ათის თუმნის მოწყალება კანტორისათ ვის. კანტორა განა საკადასაკოა, სამოწყალო დაწესებულებაა? გეკონებ, ფასკანდალით და მთ კანტორის სრულიად არ ეწერება ვისიმე მოწყალება. მაგრამ საქმე ამაში არ არის. საქმე ისაა, რომ რაკი კომიტეტმა არ შეაწუნარა და არა სენო კანონიერად ზოგიერთი თქვენი მოქმედება, თქვენ დიდად იწყინეთ, დაჭეკეთ კანტორა და ამ სახით მისი წარმოება შესწყდა 16 თებერვლიდან 27 აპრილამდე, ესე იგი მედიტორთა გარდწეკეტილებამდე.

ჭქედამ ცხადად სჩანს, რა დიდად გტკივებია გული კანტორისათვის. ცხადად სჩანს ესეკე იქიდანაც, რომ ჩვენის წესდების წინააღმდეგ და კომიტეტის ნება-დაურთეკელად გაჭეიდეთ კანტორის საწეკეთო ტეიდამ ხუთასი თუმნის ხე-ტეკე, მაშინ როდესაც ორასის თუმნისაზე მეტის გასეიდვის ნება არა გქონდათ. რომ თავი გამეკართლებინათ როგორმე, პირობით შეეკარით მსეიდველთ ხე-ტეკისს, რომ ეთორმ 20,000 შესალი თითოში ორ-ორი შაური გამოგართეთო, მაშინ როდესაც კანტორაში-კი თითოში ხუთ-ხუთი შაური წარმოადგინეთ, ესე იგი სრულიდ ხუთასი თუმანი. ეინც არ იცის სჯმის გარეშოება, იქნება კიდეკე სთქვას, არაფერი არ დაუშავებია, ხუთასი თუმნისა აუდია და ხუთასი თუმნეკე წარდგენია კანტორაშიო. ეს ძალიან კარგი. ესოდენი კანტორამ არა დაჭეკარა-რა და მხოლოდ ფორმალური დარღეკეკი იყო წესდებისა. მაგრამ სჯმე ამით არა თავდება. კანტორამ-კი, მართალია, არა დაჭეკარა-რა, მაგრამ ტეკემ-კი ბეკრი დაჭეკრა და ჩვენი სურვილი და სხვა მონაწილეთა სურვილიც ის არის, რომ ტეკე დაცდენ იქმნას. თუ-კი კანტორის ხარჯის გასაძღოლად არ არის საკმარი ფული, რათ უნდა გაიკეთოს ტეკე ეს ერთი. მეორე კიდეკე ის არის, რომ მაგ ხუთასის თუმნის მასალის გაყიდვით და მათ წესდების დარღეკეკით ზოგიერთმა მონაწილემ და მათ შორის მეტ ბეკრი დაკეკრეთ. და ეი როგორ: კომიტეტს უნდა გაკანწილებინა ეგ შემოსავალი მონაწილეთა შორის და, მანამდე-კი ხაზინაში უნდა ჭქარებოდა. თქვენ-კი ეიდეთ და თქვენის მსოფლიოთათის ნებით დაარიგეთ, როგორც ბენებოდათ და მე, კუთენიდის მაგიერ, ბეკრად ნაკლები მეიღე. კარმად ჩემთეის და ზოგიერთის სხვისთეისაც ბეკრად უკეთესი იქნებოდა, რასაც გაყიდეს იყო ხე-ტეასის, ისეკ ორასის თუმნისა გაყიდულიყო და დაკარგეთიც ორასის თუმნის კეკლობაზე დამეკარგნა დასაკარგი, კიდრე ხუთასის თუმნისაზე.

დასასრულ, თქვენს ბრძანებთ, რომ კითომ მე ხმა არა მაქვს ამხანაგთა ყრილობაში. ვსთქვათ ასეკ არის. ამ კანტორის გამგებლის არჩეკაში ხომ, როგორც ზედამხედველ კომიტეტის წევრს, უფლეკელი ხმა მაქვს. წესდებას ეკრც მე და ეკრც თქვენ ეკრსად წაუკლია. ჩაიხედეთ შიგ, წაიკითხეთ მისი მეტრე მუხლი და ჭნახავთ, რომ სწორედ მარტო მე და კიდეკ სხვა წევრნი ზედამხედველნი ეკაკმატეტისს გეკქნა ნება და უფლეკ კანტორის გამგებლად, ვინც გინდა, ის ეკარჩიოთ. ამ წესდების ლედანა, წესდების წანაკლმდეგ, მეკდამ თქვენს ხელშა იყო. როდეს დეკეკრდებოდა, ხელთ არა გეკქონდა ხოლმე, მაგრამ ბოდოს-კი მეტი ღონე არ იყო და მაკე და სასწრაფოდ მოგაძებინეს იგი დედანი და მოგატანინეს ადაგის და ეი სწორედ იმ შორიდამ მოტანილმა წესდებამ დაგითხოვა თქვენ და დანიშნა თქვენ მაგიერ ასალი კამეკებული თ. ეკანე გეორგის ძე ფალავანდიშვილი.

წევრი ზედამხედველ კომიტეტისა
თ. ბეკან დიმიტრის ძე ფალავანდიშვილი

ᲓᲔᲞᲔᲨᲐ

28 ივნისს

ᲒᲔᲠᲚᲘᲜᲘ. იმპერატორის ბრძანებით ამ მოკლე მომავალს ხანში შეუდგებიან კუნძულ ჰელჰოლანდის გამაგრებას. მუშაობათა გამგეობა იმპერატორმა მიანდო ვეისს, სიმაგრეთა ამშენებელს მოზელის მარცხენა ნაპირზე.

ᲒᲐᲒᲐ. გაზეთები იუწყებიან, რომ მთელმა კაბინეტმა თხოვნა შეიტანა სამსახურიდან დათხოვნისაო.

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. პრინცი საბერძნეთისა გეორგი დღეს ევროპაში მიემგზავრება გემით „Gity of New-Iork-ით“.

28 ივნისი

ᲙᲔᲓᲠᲘᲜᲑᲣᲠᲒᲘ. ახალის სამოქალაქო დებულების შემდგენელმა კომისიამ ახალი სამხრეთელო (საობეკო) წესდება შეიმუშავა.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. იმპერატორი და იმპერატრიცა გერმანიისა მოვიდნენ ლონდონს და სადამოზედ ოპერის თეატრის სადღესასწაულო წარმოდგენას დაესწრნენ. თეატრი სავსე იყო უმაღლესის საზოგადოებით.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲑᲘᲠᲟᲐ, 25 ივნისი

	ᲛᲘᲦᲔᲣᲚᲘ ᲤᲐᲡᲘ.	ᲓᲐᲛᲬᲔᲠᲚᲘ ᲤᲐᲡᲘ.	ᲓᲐᲑᲚᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო .	7 16	7 20	— ,,
ტრამუნის კუპონები .	143½	144	— ,,
ძანეთიანი ვერცხლის ფული	1, 04	1, 06	— ,,
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	— ,,	— ,,	243¾
—მეორისა	224¼	— ,,	— ,,
—მესამისა	— ,,	— ,,	— ,,
სახელმწიფო თავდაზღვნაროვის ბანკის ფურცელი, . , , ,	210	— ,,	211¾
გირვანტის ფურცელნი ტფილისის ბანკისა .	— ,,	— ,,	— ,,
ქუთაისის ბანკისა .	— ,,	— ,,	— ,,
ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა	— ,,	— ,,	— ,,

ᲛᲘᲛᲝᲬᲚᲔᲚᲐ ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲡ ᲒᲔᲛᲔᲑᲘᲡᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲖᲔᲦᲐᲖᲔ

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით, ნაშუადღეკის 4 სასთზე მოკლე გზით და ნოეორანსიისკენ და კეგრნში შეიკეთის.

შაბათობით სალამოს 8 სასთზე შორის გზით (ეკეკლ ნაკონ-სადგურში შეიკეთის).

კვირაობით, სალამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს, შორის გზით.

პარასკეკობით, დიდით-ოდესიდამ მოკლეს გზით (კეგრნს და ნოეორანსიისკენ შეიკეთის).

შაბათობით, დიდით, სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის სამშაბათობით—იმის შემდეგ, როდეს სოხუმიდამ მოდის ეკეთ შორის გზით. ხუთშაბათობით—დიდის 9 სასთზე დამასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კეკეასიისა და ყირიმის ეკეთს.

შაბათობით, დიდის 9 სასთზე, და მასწრობს შორის გზით მოსიარულე კეკეასია-ეიზერიმისა და რუმელია ანატოლიისკენ ეკმსეკელ ეკეთს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რაკი ეკეთ მოკა ფოთიდამ, ბათუმის სასეკენტო გადასწეკეტს სოხმ, რადის წკეა ეკან.

ამის გარდა ეოკეკ-კეკრა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კეკეასიის ნაკთ-სადგურეკიდან გადაწეკეტილს კადაზე ეკეთი.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

„წერა-კითხვის საზოგადოების“
ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲗ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები

	მან.	კაპ.
უკანასკნელი დღე სიკვდილით დასჯილისა, ვიქტორ ჰიუგოსი. თარგ. თ. სახოკიასი	„	30
ხალხური ლექსები, შეკრებილი აღნიაშვილის მიერ.	„	30
ლექსები ნ. ბარათაშვილისა. ახალი გამოცემა. . .	„	30
რამდენიმე ლექსი ცახელისა.	„	15
თხზულებანი გ. ერისთავისა, მშვენიერს ყდაში ავტორის სურათით . .	2	„
ქართულ-რუსული ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა სამივე ნაწილი . . .	8	„
ქართული ლექსიკონი, შედგენილი საბა-სულხან ორბელიანისაგან . .	3	„
გზა ცხოვრებისა, შედგენილი წმიდისა აღ. ლიგუორისაგან	1	„
წინამძღვარი ზეცისა . .	„	50
წმიდათა ცხოვრება . .	1	20
ივანენი ფილოსოფოს ეზოპისა	„	40
სიბრძნე კაცობრივი . .	1	„
ბრძენი	„	30
მოკლე სახელმძღვანელო ფრანგულის ენისა, ყდით.	„	50
მოკლე ფრანგული გრამატიკა	„	40
მოკლე მსოფლიო ისტორია ძველთა და ახალთა ნათესავთა დასაბამიდგან სოფლისა ვიდრე დღევანდლამდე, ყდით .	1	20
მოკლე გეოგრაფია ფიზიკებრივი, მოქალაქებრივი და ისტორიებრივი, დამატებით ძველის გეოგრაფიისა.	„	50

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოდის ოთველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

12 თვითო. . .	10 მ.—კ.	6 თვითო . . .	6 მ.—კ.
11 ,, . . .	9 ,, 50,,	5 ,, . . .	5 ,, 25,,
10 ,, . . .	8 ,, 75,,	4 ,, . . .	4 ,, 70,,
9 ,, . . .	8 ,, —,,	3 ,, . . .	3 ,, 50,,
8 ,, . . .	7 ,, 25,,	2 ,, . . .	2 ,, 75,,
7 ,, . . .	6 ,, 50,,	1 ,, . . .	1 ,, 50,,

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „იერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარეშე მცხოვრებთ უნდა დაიბარონ კაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვეის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმის მხოლოდ შემდეგის თვეის პირველ დღიდან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ᲤᲐᲡᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲒᲔᲛᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკასასენელი გვერდი 30 მანეთი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანეთი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიკერს 25 ასო კაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნონ. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში მატონებელმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ეკალარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჭკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდან სამ საათამდე და საღამოობით 7-დან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲗᲐ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ

ისყიდება შემდეგი ახალი წიგნები:

	მ.	კ.
„უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა“ ვიქტორ ჰიუგოსი, ფრანგულითან თარგმანი თ. სახოკიას-მიერ	„	30
„ცვარი“ საყმაწვილო წიგნი, სურათებით, შ. მღვიმელისა.	„	30
ლენტის მსგავსნი ჭიები ი. თ.	„	5
ხალხური ზღაპრები, შეკრებილი აღნიაშვილის მიერ, წიგნი I.	„	30
იგივე, მშვენიერის ყდით	„	75
თხზულებანი ი. დავითაშვილისა სურათით და ბიოგრაფიით.	„	80
იგივე მშვენიერის ყდით	1	25
„დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა“ ლეგენდარული პოემა ბაჩანასი.	„	15
„სურამის ციხე“, გამოც. მესამე გრ. ჩარკვიანისა . . .	„	25
„მარაბდა“ პოემა ანტ. ფურცელაძისა	„	20
„წყალობა“, პოემა მისივე	„	20
„ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა“ ანუ „მეორე ნაწილი ქართლის მოქცევისა“ გამოცემული რედაქტორობით და წინასიტყვაობით ე. თაყაიშვილისა.	„	40
ანდრეძი ანტონის მე-II, საქართველოს კათალიკოსისა, გამოცემული დ. ფურცელაძის მიერ.	„	30
რამდენიმე ლექსი ცახელისა	„	15
„სამი ისტორიული ხრონიკა“ ექვ. თაყაიშვილისა . .	1	„
„Древнѣйшіе предѣлы разселенія грузинъ по Малой Азіи“ ა. ხახანაშვილისა.	„	50
„ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის“ ისტორიული გამოკვლევა ა. ხახანაშვილისა.	„	50
„ქართული სახელმძღვანელო ნოტებისა“, შარაბიძისა . .	„	60
„დემეტრეს სახლობა“, მოთხრ. ს. მგალობლიშვილისა . .	„	15
„თამარ-ბატონიშვილი“, ისტორ. რომანი რჩეულიშვილისა	1	„
„Руско-грузинскій словарь“ вновь составленный по новѣйшимъ словарямъ, დ. ჩუბინაშვილისა	3	„
„არჩილიანი“, გამოც. მაჩიტაძისა-დიმელისა	„	75
„მიბაძვა ქრისტესი“, თხზ. თომა კემფელისა, თარგ. ლეონტურიდგან ა. მღებრიშვილისა, წიგნი მე-III და მე-IV ყდით. . .	„	80
იგივე უყდო	„	60
„მიბაძვა ქრისტესი“, წიგნი I. და მე-II. ყდით. . . .	„	70
„შვილის აღზრდა“, პედაგოგიური წერილები თ. ხუსკოვაძისა	„	20
„ყმაწვილების ფიზიკური აღზრდა“ გ. იოსელიანისა. .	„	20
„ძეგლის-დება“ მეფე გიორგი ბრწყინვალესი“ ნ. ურბნელისა	„	25
„ივანანამ რა ჰქმნა“, მოთხრ. ი. გოგებაშვილისა. . .	„	10
„კიკოლას ნაამბობი“, ისტ. პოემა აკაკისა	„	20
„ბორკილი“, დრამა, თარგ. ა. ახნაზაროვისა	„	40
ჟანნა-დარკ	„	5
ბერლინის გარემოცვა.	„	5

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ შემდეგის ადრესით უნდა მიმართონ: Тифлисъ. Въ Книж. Магазинѣ „Грузинскаго Издательскаго Товарищества“, Лорисъ-Меликовская ул., д. Зубалова.

Дозв. ценз. Тифлисъ, 28-го Іюня 1891 г. სტამბა მ. შარაძისა, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში № 21 რედაქტორ-გამომცემელი ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ